სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080186764917917

 # 1197 **18 / აპრილი / 2017 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 10 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს SMP170001009 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, 2017 წლის 8 აპრილს განახორციელა დაცვის მომსახურების შესყიდვა.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017 წლის 7 აპრილს, მოქალაქეთა ჯგუფი შეეცადა, ქ. ბათუმში, გონიოს დასახლება აფსაროსის მე-3 ჩიხში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შენობის თვითნებურად დაკავებას (აღნიშნული ობიექტის მეორე სართული არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართს, არ არის შესაბამისად მოწყობილი. ამასთან, გააჩნია დიდი ზომის ღიობები (ფანჯრები) და კედლები ამოშენებულია მხოლოდ პერიმეტრზე). გამართული მოლაპარაკებების შედეგად მოხდა ობიექტის გათავისუფლება, ხოლო, ფაქტის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, 2017 წლის 8 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ დაცვის მომსახურებაზე გაფორმდა ხელშეკრულება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, 2017 წლის 7 აპრილს, მოქალაქეთა ჯგუფი შეეცადა, ქ. ბათუმში, გონიოს დასახლება აფსაროსის მე-3 ჩიხში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შენობის თვითნებურად დაკავებას (აღნიშნული ობიექტის მეორე სართული არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართს, არ არის შესაბამისად მოწყობილი. ამასთან, გააჩნია დიდი ზომის ღიობები (ფანჯრები) და კედლები ამოშენებულია მხოლოდ პერიმეტრზე). გამართული მოლაპარაკებების შედეგად მოხდა ობიექტის გათავისუფლება, ხოლო, ფაქტის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, 2017 წლის 8 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ გაფორმდა ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა ობიექტის შესაბამისი დაცვა. აქედან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შესყიდვა განხორციელდა კანონისა და ზემოხსენებული ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე